

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში“ გასული წლის გამოუყენებელი ნაშთის დაზუსტების თაობაზე;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და
პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.განმუხურში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დ.ესებუა-ურბანული განვითარებისა და
არქიტექტურის განყოფილების უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. საზოგადოება „ზუგდიდელი“-ს წერილი სოფ.რუხში ყიური შარტავას ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. სხვადასხვა საკითხები

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა
განვითარების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N7**

ქ.ზუგდიდი

**1 ივლისი 2016 წელი
11:00 სთ-ზე**

2016 წლის 1 ივლისს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: თ.მარკოზია, ს.გოგოხია, რ.თორდია, მ.წოწერია; ზ.ხუბუა, გ.ნაჭყებია თ. თორდია, ე.ახალაია, გ.სორდია, ვ.სურმავა, მ.ხვიჩია, რ.ფიფია, ლ.თოდუა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: ნატალია პაპასკირი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი: დავით ესეზუა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი: რ.კილასონია.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 13 წევრიდან 13 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში“ გასული წლის გამოუყენებელი ნაშთის დაზუსტების თაობაზე;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.განმუხურში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დ.ესებუა-ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. საზოგადოება „ზუგდიდელი“-ს წერილი სოფ.რუხში ჟიური შარტავას ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 29 ივნისს N02/2679 შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მომართვა, რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტებისთვის გასული წლის გამოუყენებელი ნაშთის დამატების თობაზე.

აზრი გამოთქვას : რ. კილასონიას განმარტებით მიმდინარე წლის სოფლის მხარდაჭერი პროგრამაში გათვალისწინებული პროექტების დასაფინანსებლად სოფლებში განაწილებული თანხა არ არის საკმარისი, ამასთან ერთად საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ დადგენილ იქნა გარკვეული ეკონომიები და გამოვლენილ იქნა გამოუყენებელი თანხები, რომელიც საკმარისია ცალკეული პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“ გათვალისწინებული ასიგნებიდან მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხა ან მისი ნაწილი, შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული სოფლის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დარჩენილი თანხა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, კერძოდ:

1. ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში საფეხბურთო მინი სტადიონის მოწყობა - დაემატოს 5000 ლარი;
2. გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში საფეხბურთო მინი სტადიონის მოწყობა - დაემატოს 4000 ლარი;

3. უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის მოწყობა - დაემატოს 8000 ლარი;

გასული წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ გამოუყენებელი ნაშთიდან 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, ზემოაღნიშნული პოზიციების მიხედვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებას თანხის გადატანის შესახებ, საერთო ჯამში 17 000 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 22 ივნისის N02/2630 შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელის მომართვა, რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „ სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის“ დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

აზრი გამოთქვას: დ.ესებუას განცხადებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში შ.პ.ს. „ბლექ სი რივიერა“-ს საკუთრებაში მდებარე მიწის ნაკვეთს საერთო ფართობით 33951.0 კვ. მეტრი, საკადასტრო კოდი N43.29.42.449მიეკუთვნოს „საკურორტო-სარეკრეაციო“ ზონა 2 (სრზ-2) და განისაზღვროს: ა)მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0.3;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 3.0 მდე;

გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0.1.

დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში შ.პ.ს. „ბლექ სი რივიერა“-ს კუთვნილ მიწის (საკადასტრო კოდი N43.29.42.449 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 33951.0 კვ. მეტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების I ეტაპი N1 დანართის მიხედვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად I ეტაპით (გეგმარებითი დავალების შესახებ) გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დადებითად დასრულების შემდეგ დაწყებულ იქნეს „განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოების II ეტაპი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

აზრი გამოთქვას: კომისიის თავმჯდომარემ თ. მარკოზიამ გააცნო კომისიის წევრებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი საქართველოს საპარლამენტო მორიგი არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრში (დანართის შესაბამისად) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატებისთვის განთავსდეს სპეციალური სტენდები;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო სუბიექტებს მიეცეთ უფლება საარჩევნო პლაკატები განათავსონ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე, გარდა ამ განკარგულების მე-6 პუნქტში მითითებული ობიექტებისა და თუ ამით არ უარსდება საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და საავტომობილო გზის ხილვადობა, აგრეთვე საფრთხე არ ექმნება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას;
3. საარჩევნო სააგიტაციო მასალები ასევე შეიძლება განთავსდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე გარე განათების ბოძებზე და მგზავრთა მოსაცდელეებში;
4. გამოყოფილი ადგილი და განთავსების პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარია;
5. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;
6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.
7. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას;
8. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საკრებულოს აპარატს საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა ვებგვერდზე www.zugdidity.gov.ge, www.zugdidi.gov.ge და გამოიკრას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/გამგეობის) ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზ. #45);
9. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 10 ივნისს N15 შემოსულია საზოგადოება „ზუგდიდელი“-ს წერილი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით სოფ.რუხში

აზრი გამოთქვას: კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას განმარტებით აღნიშნული საკითხე არ შედის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაში.

დაადგინეს: საკითხი გადაეცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდგომი რეაგირებისთვის .

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

თ.მარკოზია